ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05

7 აგვისტო 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა N67

ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს" (ს/კ – 441993648) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით მის სარგებლობაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე შენობა–ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1200.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.24.22.214) ერთი თვის ვადით, კურორტ ბახმაროს დამსვენებელთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მომსახურების გაწევის პირობით, შ.პ.ს. ,,მამქოლისათვის" (ს/კ – 242005977) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №31 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ" დებულების მე–3 მუხლისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი"–ს შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს" (ს/კ – 441993648) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით მის სარგებლობაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე შენობა–ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1200.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.24.22.214) ერთი თვის ვადით, კურორტ ბახმაროში დამსვენებელთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მომსახურების გაწევის პირობით, შ.პ.ს. ,,მამქოლისათვის" (ს/კ – 242005977) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე